






**Georgian National
Film Center**

საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი

ცნობის ფურცელი

№1, 2012





კონკურსები

2012 წელს ეროვნულმა კინოცენტრმა გამოაცხადა სამი კონკურსი: სრულმეტრაჟიანი ეროვნული მხატვრული ფილმის, ქართულ - უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის (ევროპული კოპროდუქცია) და სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის წარმოების დაფინანსების მიზნით.

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებულ კონკურსში შემოსული 21 პროექტიდან საექსპერტო კომისიის მიერ განხილვის შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა 3 პროექტი:
- „სიმინდის კუნძული“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ალამდარი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი). სახელმწიფო სუბსიდიამ შეადგინა 450 000 ლარი.
- „მელოტი ბიჭები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“, რეჟისორი – ლევან კოდუაშვილი). სახელმწიფო სუბსიდიამ შეადგინა 300 000 ლარი.
- „პატარძლები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ჯემინი“, რეჟისორი - თინათინ ყაჯრიშვილი). სახელმწიფო სუბსიდიამ შეადგინა 150 000 ლარი.

ქართულ - უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის (ევროპული კოპროდუქციის) წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებულ კონკურსში შემოვიდა 3 პროექტი. საექსპერტო კომისიამ გამოავლინა ორი გამარჯვებული სცენარი:

- **„მმა“** (წარმოება: საქართველო, საფრანგეთი. საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინეტექი“, რეჟისორი - თეონა მღვდელაძე-გრენადე). სახელმწიფო სუბსიდიამ შეადგინა 345 000 ლარი.
- **„ფარაჯანოვი“** (წარმოება: საქართველო, უკრაინა, საფრანგეთი, ნორვეგია სომხეთი. საპროდიუსერო კომპანია - შპს „ჯემინი“, რეჟისორები - ოლენე ფეტისოვა, სერჟ ავედიკიანი). სახელმწიფო სუბსიდიამ შეადგინა 155 000 ლარი.

სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებულ კონკურსში შემოვიდა სულ 29 კინოპროექტი. საექსპერტო კომისიის მიერ გამოვლინდა 7 გამარჯვებული:

- **„ინგლისურის მასწავლებელი“** (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, რეჟისორები - ივანე არსენიშვილი, ნინო ორჯონიკიძე), ქრონომეტრაჟი - 60 წთ, სახელმწიფო სუბსიდია შეადგენს 25 000 ლარს;
- **„მადონა“** (საპროდიუსერო კომპანია - „ლიბ ჯი“, რეჟისორი - ნინო გოგუა), ქრონომეტრაჟი - 60 წთ, სახელმწიფო სუბსიდია შეადგენს 50 000 ლარს;
- **„ტოტალიზატორული ფსიქოზი“** (საპროდიუსერო კომპანია - შპს „გოგო ლები“, რეჟისორი - კონსტანტინე ესაძე), ქრონომეტრაჟი - 52 წთ, სახელმწიფო სუბსიდია შეადგენს 35 000 ლარს;
- **„ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“** (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - ალექსანდრე კვატაშიძე), ქრონომეტრაჟი - 90 წთ, სახელმწიფო სუბსიდია შეადგენს 40 000 ლარს;
- **„ციხის აღსარებები“** (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი), ქრონომეტრაჟი - 70 წთ, სახელმწიფო სუბსიდია შეადგენს 40 000 ლარს;
- **„რამაზ ჩხიკვაძე“** (პროდიუსერი - ფიზიკური პირი საბა ამირეჯიბი, რეჟისორი - ალექსანდრე რეხვიაშვილი), ქრონომეტრაჟი - 80 წთ, სახელმწიფო სუბსიდია შეადგენს 30 000 ლარს;
- **„ბიბლიოთეკა“** (საპროდიუსერო კომპანია - „Mochhous Film“, რეჟისორი - ანა ციმიტია), ქრონომეტრაჟი - 52 წთ, სახელმწიფო სუბსიდია შეადგენს 30 000 ლარს;

წლის საუკეთესო კინოსცენარი - „გალა 2012“

გამოცხადდა კონკურსი წლის საუკეთესო კინოსცენარის გამოსავლენად. ეროვნულმა კინოცენტრმა გამოაცხადა 2012 წლის კონკურსის პირობები ლიტერატურული კონკურს „გალას“ მიერ დაწესებულ ნომინაციაში „წლის საუკეთესო კინოსცენარის“ ნომინანტების გამოსავლენად.

კონკურსი ტარდება კინოდრამატურგიის დონის ამაღლების, ზოგადად ამ სფეროში მოღვაწე პროფესიონალების წახალისების, მათი პოპულარიზაციის, ახალი სახეების გამოვლენის, წარმატებული პროექტების ხელშეწყობის მიზნით.



www.gnfc.ge

კინონარმოვანება

მიმდინარე პროექტები

- დასრულდა ქართულ - ესპანური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩაიკა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინეტეკი“, რეჟისორი –მიგელ ანხელ ხიმენესი), ფილმის პრემიერა დაგეგმილია სექტემბერში.
- დასრულდა დოკუმენტური ფილმის პროექტი „ფალავანი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „პალესტრა“, რეჟისორი - თემურ ცავა).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „უკანასკნელი წერილი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კვალი“, რეჟისორი - პაატა შენგელია).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ცრუპენტელა აღმზრდელი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „იქს-ეფი“, რეჟისორი – დავით სიხარულიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სახლი გზის პირას“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ბასტრა ფილს“, რეჟისორი – გიორგი ბარაბაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი სახნის ნაკეცი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ზაზარფილმი“, რეჟისორი – ზაზა რუსაძე).



„უკანასკნელი წერილი“ – პაატა შენგელია

- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ქართული ნაგაზი“ (საპროდიუსერო კომპანია შპს „თი-სტუდია“, რეჟისორი – დემნა ჯაფარიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ვეფხვი და მოყმე“ (საპროდიუსერო კომპანია – ფიზიკური პირი ზურა ქვაჩახია, რეჟისორი – მარიამ კანდელაკი).
- გადაღების პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ბებო“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „20 Steps FILM“, რეჟისორი – სანდრო ქათამაშვილი).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია – ფიზიკური პირი ირაკლი ბალათურია, რეჟისორი – გელა კანდელაკი).
- წარმოების პერიოდშია შპს „სანგუკოს“ სრულმეტრაჟიანი მხატვრულ ფილმის პროექტი „თამაში“, რეჟისორი ნიკა მაჩაიძე და პროექტი „ველური დღეების ქრონიკები“ რეჟისორი – დავით უჯმაჯურიძე.
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გასროლა წყალში“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „POLARE FILM“, რეჟისორი – სიმონ გროს, ნანა ექვთიმიშვილი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მანდარინები“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სინემა 24“, რეჟისორი – ზაზა ურუშაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თემურის შვილები“ (საპროდიუსერო კომპანია – ფიზიკური პირი ზურა ქვირია, რეჟისორი – კოტე თაყაიშვილი).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ალეთეა“, რეჟისორი – თინა გურჩიანი).



„თამაში“ – ნიკა მაჩაიძე



„ცრუპენტელა აღმზრდელი“ – დავით სიხარულიძე



„შავი თუთა“ – გაბრიელ რაზმაძის მოკლემეტრაჟიანი ფილმის პრემიერა

30 იანვარს, კინოთეატრ ამირანის მცირე დარბაზში გაიმართა ახალი ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „შავი თუთა“ პრემიერა. რეჟისორი – გაბრიელ რაზმაძე. პროდიუსერი – თიკო ყაჯრიშვილი (შპს „ჯემინი“). პროექტი ეროვნული კინოცენტრის 2011 წლის კონკურსის გამარჯვებულია და მისი წარმოებისთვის სახელმწიფო სუბსიდიამ შეადგინა - 29 000 ლარი. ფილმის ქრონომეტრაჟია 28 წუთი. სინოფსისი: 16 წლის ნიკა და ანი შემთხვევით შეხვდებიან ერთმანეთს ჭიათურაში. ერთი დღე საკმარისი აღმოჩნდება ორივესთვის, რომ რაღაცაზე დაფიქრდნენ. დრამაში მოზარდების სიყვარულის ისტორიაა ასახული. სცენარის ავტორები: გაბრიელ რაზმაძე, თინათინ ყაჯრიშვილი, მხატვარი: კოტე ჯაფარიძე, ოპერატორი: გოგა დევდარიანი, თანაპროდიუსერი და გაყიდვების აგენტი: ადასტრა ფილმსი, სებასტიან ობერი.



„სუსა“ – რუსუდან პირველის ფილმის პრემიერა

23 თებერვალს, კინოთეატრ „ამირანის“ მცირე დარბაზში გაიმართა რუსუდან პირველის სადებიუტო ნამუშევრის „სუსას“ ქართული პრემიერა. „სუსა“ ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია. 90 წუთიან სოციალურ დრამაში ასახულია 13 წლის ბიჭის ცხოვრება. „იმედებს და მოლოდინებს შეუძლიათ ძლიერი გაგხადონ, მაგრამ როდესაც რეალობა ილუზიებს არაფრად აქცევს 13 წლის ბიჭი იზრდება სწრაფად.“ რეჟისორი, პროდუსერი - რუსუდან პირველი, სცენარის ავტორი - გიორგი ჩალაური, დამდგმელი ოპერატორები - მირიან შენგელია, ირაკლი გელეიშვილი, მთავარ როლებში: ავთანდილ თეთრაძე, ლევან ლორთქიფანიძე, ეკატერინე კობახიძე, გია გოგიშვილი, პაატა ხვედელიძე, გივი ქართველიშვილი, ვიქტორ ქსოვრელი.

„სუსამ“ მონაწილეობა მიიღო როტერდამის, ბერლინის, კანის, შანჰაის, ანტალიის, მონრეალის, მონპელიეს და სხვა არაერთი კინოფესტივალის სხვადასხვა სექციაში. ფილმს საინტერესო კრიტიკული სტატიები მიუძღვნეს გავლენიანმა გამოცემებმა „ვერაიეთიმ“, „ოქსფორდ თაიმსმა“ და სხვებმა.



ფესტივალები

ეროვნული კინოცენტრი 62-ე ბერლინალეს კინოგაზრობაზე

ეროვნული კინოცენტრი ბერლინის 62-ე კინოფესტივალზე ინდუსტრიული კუთხით წარდგა. 9 თებერვალს ფესტივალის ფარგლებში ეროვნული კინოს ბაზრობაზე (EFM) ეროვნული კინოცენტრის სტენდი გაიხსნა, სადაც მუშაობდნენ: ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - თამარ ტატიშვილი, ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლები - სალომე სეფაშვილი, დავით ვაშაძე და მარიამ კანდელაკი. ქართული სტენდი 16 თებერვლის ჩათვლით მასპინძლობდა სტუმრებს და მის ფარგლებში 50-ზე მეტი ინდუსტრიული შეხვედრა გაიმართა.

სტენდზე წარმოდგენილი იყო ახალი ქართული ფილმების კატალოგი, ეროვნული კინოცენტრის საინფორმაციო ბროშურები, ახალი ქართული ფილმების ტრეილერების დისკი, მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმების დისკი, საქართველოში გადაღებების წარმოების შესახებ ინფორმაცია (Location Guide, CD) და სხვა.

13 თებერვალს, ქართულ პავილიონში გაიმართა მიღება (HAPPY HOUR) უცხოელი კინემატოგრაფისტებისთვის, რომელსაც დაესწრო საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში.

15 თებერვალს საქართველოს სრულუფლებიანი ელჩმა გერმანიაში - ქალბატონმა გაბრიელა ფონ ჰაბსბურგმა საელჩოს ტერიტორიაზე გამართა მიღება ბერლინის კინოფესტივალზე ჩასული ქართველი კინომოღვაწეებისათვის.

ბერლინალეს ფარგლებში წარმოდგენილი იყო დამწყები ქართველი პროდუსერის, ნათია გულიაშვილის და რეჟისორის, ნინო გოგუას დოკუმენტური ფილმის პროექტი „მადონა“, რომელიც ნომინირებულია ბოშის ფონდის 2012 წლის პროგრამაზე - კოპროდუქციის პრიზი.

15 თებერვალს, ბერლინალეს ფარგლებში გაიმართა პროექტ 15 Young by Young - 15 ახალგაზრდა რეჟისორის მიერ შექმნილი 15 დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია. ერთ-ერთი იყო სალომე ჯაშის პროექტი. „ცურვა“ 12 წუთიანი ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმია სერიისთვის 15 Young by Young, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წლისთავის აღსანიშნავად შეიქმნა. კოპროდუქცია არის Avantis-სა (ლატვია) Alegria-სთან (საფრანგეთი) და ARTE-სთან თანამშრომლობის შედეგი.

ეროვნული კინოცენტრი ტრიესტის საერთაშორისო კინოფესტივალზე

ტრიესტის კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობდა სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმი „ზახმარო“, რომელმაც უკვე არაერთ ფესტივალზე მოიპოვა გამარჯვება.

კოპროდუქციის პლატფორმა - „როცა დასავლეთი ხვდება აღმოსავლეთს“ – (WHEN EAST MEETS WEST) 2012.

ეროვნული კინოცენტრი წარმოდგენილი იყო იტალიაში ტრიესტის კინოფესტივალის ფარგლებში გამართულ პროგრამაში WHEN EAST MEETS WEST. ქეთი დანელიამ, ეროვნული კინოცენტრის პროექტების მენეჯერმა, გამართა პრეზენტაცია კინოცენტრის ბაზაზე არსებული კინოკომისიის დეპარტამენტის მუშაობის ფორმების და გამოცდილების შესახებ.

წელს აღნიშნულ პროგრამაში არჩეულ იქნა ორი ქართული პროექტი: სექციაში Final Line-up თინათინ ყაჯრიშვილმა წარადგინა მხატვრული ფილმის პროექტი „პატარძლები“ სხვა 18 საერთაშორისო პროექტს შორის. ალექსანდრე კვატაშიძემ კი წარმოადგინა დოკუმენტური კინოპროექტი „შეგზვდებით ჩეჩნეთში“, რომელიც Warm-Up კატეგორიაში სხვა 11 ევროპულ იმედისმომცემ პროექტს შორის მოხვდა.

ახალგაზრდა ქართველი კინემატოგრაფისტების წარმატება

ახალგაზრდა პროდიუსერის, ნათია გულიაშვილის და რეჟისორის, ნინო გოგუას დოკუმენტური ფილმის პროექტი „მადონა“ ნომინირებულია ბოშის ფონდის 2012 წლის პროგრამაზე - კოპროდუქციის პრიზი (Robert Bosch Stiftung - Coproduction Prize).

„მადონა“ პირველი ქართული კინოპროექტია, რომელიც კოპროდუქციის პრიზის მოსაპოვებლად იბრძოლებს მთელი ევროპის მასშტაბით სხვადასხვა ქვეყნის 15 პროექტს შორის, აქედან კი მხოლოდ ექვსია დოკუმენტური პროექტი. „მადონას“ გერმანელი კოპროდუქტორია მარტინ დანიში (კომპანია: Nikokupferberg).

რობერტ ბოშის კოპროდუქციის პროექტი ქართული განაცხადებისათვის 2011 წელს ფონდის წარმომადგენლებს და ეროვნულ კინოცენტრს შორის წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად გაიხსნა.

პროექტი მონაწილეობდა ეროვნული კინოცენტრის მიერ ორგანიზებულ ბოშის ინდუსტრიულ შეხვედრებში საქართველოში 2011 წელს. ნათია გულიაშვილი პროექტს წარმოადგენდა ასევე სარაევოს კინოფესტივალის ახალგაზრდულ ტალანტ კამპუსზე, სადაც იგი ეროვნული კინოცენტრის დელეგაციის წევრი იყო.

დოკუმენტური ფილმი 55 წლის ქალის ცხოვრებას ასახავს, რომელიც საბჭოთა დროს ტრავმის მძლავრი იყო, დღეს კი ერთადერთი ქალია, რომელიც თბილისში ავტობუსს მართავს.

„საფეხური“ – ალექსანდრე ჩხვიაშვილის შემოქმედება

10 თებერვალს, თანამედროვე ხელოვნების ცენტრის საგამოფენო სივრცეში, გაიხსნა გამოფენა - „საფეხური“, რომელზეც წარმოდგენილი იყო ქართველი კინორეჟისორის - ალექსანდრე რეხვიაშვილის შემოქმედება. გამოფენა ექსპერიმენტალური სახის იყო, რაც დამთვალიერებელს ავტორის შემოქმედების ალტერნატიულ სივრცეში, მთლიანობაში აღქმის საშუალებას აძლევდა. კურატორი: ვატო წერეთელი. გამოფენა განხორციელდა ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.



უორქშოფი თემაზე კულტურის სფეროს მენეჯმენტი

5-6 მარტს ბრიტანეთის საბჭომ, ფონდთან „ღია საზოგადოება-საქართველო“ და საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრთან თანამშრომლობით, ჩაატარა უორქშოფი კულტურის სფეროს პროფესიონალებისთვის. უორქშოფის ჩატარების საჭიროება განაპირობა იმან, რომ კულტურის სფეროს ლიდერებს, ცხადია, საქმიანობის საწყის ეტაპზე ესაჭიროებათ დახმარება მართვის პრაქტიკული უნარების განვითარებაში. ამ ინიციატივის ოფიციალური პარტნიორია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.



ევრიმაჟის აღმასრულებელი დირექტორის - რობერტო ოლას ვიზიტი თბილისში

15 მარტს, თბილისს, ევროპის საბჭოს ევროპული კინოს მხარდაჭერის ფონდის - ევრიმაჟის აღმასრულებელი დირექტორი - რობერტო ოლა ეწვია. ევრიმაჟის ფონდის ხელმძღვანელს საქართველოში ეროვნულმა კინოცენტრმა უმასპინძლა.

რობერტო ოლა 15 მარტს, სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“ ქართული კინოსექტორის წარმომადგენლებს შეხვდა და გამართა პრეზენტაცია ევრიმაჟის შესახებ. ქართველი პროდიუსერები დეტალურად გაეცნენ, რას წარმოადგენს ევროპის საბჭოს კინოს განვითარების და მხარდაჭერის ფონდი და როგორ უნდა ჩაერთონ მასში ევროპული დაფინანსების მოსაძიებლად ქართული კინოპროექტებისთვის.

ვიზიტის ფარგლებში რობერტო ოლამ გამართა შეხვედრები კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში და ასევე შეხვდა კინოთეატრების წარმომადგენლებს.



ქართული ბანასხადები – „ევრიმაჟის“ დაფინანსების მოსაპოვებლად

ევრიმაჟის ფონდის მხარდაჭერა პირველმა ქართულმა კინოპროექტმა 2012 წლის მარტში მოიპოვა. ლუქსემბურგში გამართულ, ევრიმაჟის მმართველი კომიტეტის 126-ე სხდომაზე, დაფინანსება მოიპოვა ქართულმა განაცხადმა - კინოპროექტისთვის „ეპიკი“. პროექტი მასშტაბური კოპროდუქციაა საქართველოს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის. უმეტესი წილის მფლობელი ქვეყანაა საქართველო. რეჟისორი - პაველ პავლიკოვსკი. ქართველი კოპროდიუსერი - ვლადიმერ კაჭარავა.

უორქშოფი ფილმების სიფრული დისტრიბუციის მნიშვნელობის შესახებ BMO – ონლაინ შავი ბაზარი

28, 29 მარტს ქართული კინოსექტორის წარმომადგენლებისთვის გაიმართა უორქშოფი ფილმების ციფრული დისტრიბუციის მნიშვნელობის შესახებ. სემინარი ჩაატარა ტალინის ბნელი ღამეების ფესტივალის რეგიონალური კინობაზრობის მენეჯერმა და ონლაინ შავი ბაზრობის კოორდინატორმა - ჰეილი ჯომ. მან ქართველ პროდიუსერებს და რეჟისორებს გააცნო, რა მნიშვნელობა აქვს ციფრულ კინოქსელში ჩართულობას და რა სისტემით ხდება ონლაინ რეჟიმში კინოპროცესების მართვა. 28 მარტს, ჰეილი ჯომ შეხვდა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებსაც, რომლებსაც პრეზენტაცია ჩაუტარა „ონლაინ შავი ბაზრის“ (BMO) შესახებ.



www.gnfc.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge